

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 8 8 9

ქ. ბათუმი, 11 ნოემბერი 2015 წ

„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ“  
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 15 ოქტომბრის №801 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 15 ოქტომბრის №801 ბრძანებაში შემდეგ ცვლილებები:

ა) ბრძანების წერილობით დასაბუთებაში (საკონსტატაციო ნაწილში) ნაცვლად: „1) ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. №55გ-ს მიმდებარედ არსებული 1132,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი“-სა მიეთითოს: „1) ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. №55გ-ს მიმდებარედ არსებული 741,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი“ და დაემატოს „4) ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. №55გ-ს მიმდებარედ არსებული 241,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი“.

ბ) ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. №55გ-ს მიმდებარედ არსებული 741,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;“

გ) ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. №55გ-ს მიმდებარედ არსებული 241,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;“

2. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი